რეგიონი	პროცენტული წილი		ქმის მინიმუმით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
თბილისი	40	39	54	46
აჭარის არ	3	3	52	48
გურია	0	0	55	45
იმერეთი	10	10	54	46
მცხეთა-მთიანეთი	4	4	51	49
კახეთი	1	1	53	47
სამცხე-ჯავახეთი	1	1	53	47
სამეგრელო-ზემო სვანეთი	31	31	53	47
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0	0	52	48
ქვემო ქართლი	5	5	52	48
შიდა ქართლი	6	7	51	49
სულ პროცენტი	100	100	53	47
რიცხოვნობა	153 945	136 212		

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.



ქალი და კაცი  
საქართველოში

# სამუშაო ძალა, ხელფასები




შრომის ბაზარში ჩართულობა, რაც პირდაპირ გულისხმობს, რომ პირი არის დასაქმებული ან აქტიურად ეძებს სამუშაოს, წარმოადგენს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. შესაბამისი სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის სტატისტიკური მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში მამაკაცებისთვის შეადგენდა დაახლოებით 62-67 პროცენტს და ქალებისთვის 40-46 პროცენტს, რაც მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებაზე გენდერული მიმართულებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში ქალების უმუშევრობის ტრადიციულად დაბალი დონე, მამაკაცებთან შედარებით, შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს. თუმცა ამის ახსნა მარტივია: უმუშევრად ითვლება ის, ვინც აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის თითქმის დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა. იქიდან გამომდინარე, რომ ქალები შრომის ბაზარზე ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან, უმუშევარი ქალების წილიც შესაბამისად, დაბალი გამოდის.

ხელფასებში განსხვავება გენდერული მიმართულებით კვლავაც მნიშვნელოვანი რჩება, რადგან ქალები იღებენ მამაკაცთა საშუალო თვიური ხელფასის ორ მესამედზე ნაკლებს. 2021 წელს ქალების ხელფასის თანაფარდობა მამაკაცების ხელფასთან 68.6 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.0 პროცენტული პუნქტით აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს.

### 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება სამუშაო ძალის სტატუსის მიხედვით (%)




## დასაქმებულთა რიცხოვნობა და დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2021


რიცხოვნობა (ათასი), დასაქმების დონე (%)

	დასაქმებულთა რიცხოვნობა		დასაქმების დონე	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
15-24	29.5	44.6	15	22
25-34	93.8	144.6	40	59
35-44	122.6	152.6	51	64
45-54	124.1	140.8	50	63
55+	166.4	198.4	24	41
<b>დასაქმებულები, სულ</b>	<b>536.4</b>	<b>681.0</b>	<b>33</b>	<b>49</b>

## თვითდასაქმებულ ქალთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით, 2021




### თვითდასაქმებულ კაცთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით, 2021




### დასაქმებულთა განაწილება განათლების მიღებული დონის მიხედვით, 2021

(%)



### დასაქმებულთა პროცენტული წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მონახლეობაში (დასაქმების დონე), 2021

(%)



## დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

	დასაქმებულთა რიცხოვნობა		დასაქმებულთა განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
<b>სულ დასაქმებულები</b>	<b>536.4</b>	<b>681.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	80.7	149.6	15.0	22.0
მრეწველობა	42.1	95.1	7.8	14.0
მშენებლობა	2.7	91.7	0.5	13.5
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	89.9	90.8	16.8	13.3
ტრანსპორტი და დასაწყობება	8.2	68.2	1.5	10.0
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მინოდების საქმიანობები	19.9	13.5	3.7	2.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	7.3	10.8	1.4	1.6
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	18.5	11.0	3.5	1.6
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	2.6	2.6	0.5	0.4
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	12.4	9.0	2.3	1.3
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	6.4	13.0	1.2	1.9
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	31.2	61.2	5.8	9.0
განათლება	118.8	27.0	22.2	4.0
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	55.1	11.3	10.3	1.7
ხელოვნება, გართობა და დასვენება	15.4	13.3	2.9	2.0
სხვა საქმიანობები	25.3	12.8	4.7	1.9

**დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის  
სახეებისა და ფაქტორად ნაშუშვარი საათების მიხედვით, 2021  
(საათი)**

	საშუალოდ კვირაში ფაქტორად ნაშუშვარი საათები	
	ქალი	კაცი
<b>სულ დასაქმებულები</b>	<b>37.6</b>	<b>42.6</b>
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	27.5	33.3
მრეწველობა	41.1	44.3
მშენებლობა	39.6	46.1
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	46.3	47.9
ტრანსპორტი და დასაწყობება	44.5	47.4
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	45.9	47.1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	41.3	43.5
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	40.5	44.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	38.9	39.6
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	35.8	41.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	32.6	44.7
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	41.0	48.1
განათლება	27.1	31.8
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	43.2	43.4
ხელოვნება, გართობა და დასვენება	35.9	34.9
სხვა საქმიანობები	44.2	40.2



**დასაქმებულთა განაწილება სამუშაოზე დაკავებული  
კოზონიების მიხედვით, 2021**  
რიცხოვნობა (ათასი)

ISCO-08	ქალი	კაცი
<b>სულ</b>	<b>536.4</b>	<b>681.0</b>
მენეჯერები	27.5	48.9
სპეციალისტი-პროფესიონალები	160.3	65.9
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	58.8	58.1
ოფისის დამხმარე პერსონალი	35.0	24.4
მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	108.6	95.7
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	73.2	133.6
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	17.3	114.8
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	5.9	85.4
არაკვალიფიციური მუშაკები	49.3	44.2
სხვა	0.4	10.0

**არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-  
სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში, 2021**  
(%)

ქალი	22.5
კაცი	34.2


## უმუშევრობის დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2021

რიცხოვნობა (ათასი), უმუშევრობის დონე (%)


	რიცხოვნობა		უმუშევრობის დონე	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
15-24	20.1	35.5	41	44
25-34	25.9	58.2	22	29
35-44	25.1	44.6	17	23
45-54	25.0	30.9	17	18
55+	19.9	30.9	11	13
<b>სულ</b>	<b>116.0</b>	<b>200.2</b>	<b>18</b>	<b>23</b>

## უმუშევართა განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით, 2021

(%)



### უმუშევართა პროცენტული წილი 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, 2021



### 15-29 წლის ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს (NEET), 2021 (%)


ქალი	37.3
კაცი	32.1

**დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური  
ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების  
მიხედვით, 2021**  
(ლარი)

	ქალი	კაცი
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	813.4	1 006.3
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 357.3	1 781.7
დამამუშავებელი მრეწველობა	907.2	1 467.0
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	1 760.9	1 588.6
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	526.5	1 019.3
მშენებლობა	1 414.9	1 859.0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	870.2	1 415.8
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1 187.7	1 548.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	792.5	977.7
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 807.6	2 258.7
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	1 830.2	3 243.1
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 401.1	1 440.0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 767.1	2 374.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	854.2	973.2
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	1 280.9	1 572.4

	ქალი	კაცი
განათლება	820.7	885.3
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 190.8	1 664.3
ხელოვნება, გართობა და დასვენება	865.7	1 281.8
სხვა სახის მომსახურება	923.2	1 088.9
<b>სულ</b>	<b>1 055.5</b>	<b>1 537.9</b>

**ქალის საშუალო თვიური ხელფასის თანაფარდობა კაცის საშუალო თვიურ ხელფასთან**  
(%)



**შეუსწორებელი გენდერული სხეულებითი სხვაობა**  
(%)

2016	2017	2018	2019	2020	2021
34.5	35.7	35.8	36.2	32.4	31.4

წყარო: სანარმოებისა და ორგანიზაციების გამოკვლევა.

**შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობა**  
(%)

2020		2021	
საათობრივი სახელფასო სხვაობა	ყოველთვიური სახელფასო სხვაობა	საათობრივი სახელფასო სხვაობა	ყოველთვიური სახელფასო სხვაობა
<b>15.9</b>	<b>21.4</b>	<b>15.7</b>	<b>21.4</b>

წყარო: სამუშაო ძალის გამოკვლევა.

**დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაკავებული თანამდებობების/ კოზონების მიხედვით, 2021**  
(ლარი)

ISCO-08	ქალი	კაცი
<b>სულ</b>	<b>1 055.5</b>	<b>1 537.9</b>
მენეჯერები	1 863.5	2 768.9
სპეციალისტი-პროფესიონალები	1 163.2	1 665.9
ტექნიკოსები და დამხმარე სპეციალისტები	901.3	1 487.5
ოფისის დამხმარე პერსონალი	1 071.8	1 247.1
მომსახურებებისა და გაყიდვების სფეროებში დასაქმებული პირები	756.5	1 046.6
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები	513.4	917.2
ხელოსნები და მონათესავე სფეროების მუშები	724.7	1 289.7
დანადგარებისა და მოწყობილობების ოპერატორები და ამწყობები	957.1	1 121.9
არაკვალიფიციური მუშაკები	459.9	988.8

ქალი და კაცი  
საქართველოში

# ცხოვრების დონა




ინფორმაცია მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ, ტრადიციულად, მიიღება შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევებიდან. იქიდან გამომდინარე, რომ შინამეურნეობა გამოიკითხება, როგორც ერთი სუბიექტი, გარკვეული სირთულეები იქმნება გენდერულ ქრილში მონაცემთა ანალიზისას. ამის გამო მონაცემთა ანალიზი, როგორც წესი, წარმოებს შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით.

საქართველოში შინამეურნეობის უფროსად ტრადიციულად კაცი მოიზრება. შესაბამისად, შინამეურნეობების წილი მამრობითი სქესის უფროსით, 62%-ს აღემატება. თუმცა, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალი იქნებოდა, თუ ანალიზიდან გამოვრიცხავდით ერთსულიან და იმ შინამეურნეობებს, სადაც ცხოვრობს მხოლოდ ერთი მშობელი.


ძირითადი საცხოვრისის საკუთრების ფორმის, შინამეურნეობების მთლიანი შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე, სიღარიბის მაჩვენებლების არსებული მონაცემებით, გენდერული განსხვავებები შინამეურნეობებში კაცი და ქალი უფროსებით, გამოვლენილი არ არის. თუმცა, ეს განსხვავებები გამოვლინდა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეული კატეგორიის ანალიზის დროს. დაქირავებული შრომიდან, თვითდასაქმებიდან და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები უფრო მაღალია იმ შინამეურნეობებისათვის, სადაც უფროსია კაცი, ხოლო პენსიების, სტიპენდიების, დახმარებების და საჩუქრად მიღებული ფულის უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება იმ შინამეურნეობებში, სადაც უფროსი ქალია. ხარჯების შემთხვევაში, დაზოგვაზე ან გასახეებაზე და ტრანსპორტზე გაწეული ხარჯები უფრო მაღალია იმ შინამეურნეობებში, სადაც უფროსია კაცი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვაზე, საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათობოზე გაწეული ხარჯების უფრო მაღალი მნიშვნელობა ფიქსირდება იმ შინამეურნეობებში, სადაც უფროსი ქალია.



### შინამეურნეობების განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით (%)



### შინამეურნეობების განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით ქალაქად და სოფლად, 2021 (%)



**შინამეურნეობების ტიპები შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით, 2021**

განაწილება (%)

	პროცენტული ნილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
<b>შინამეურნეობების ტიპები:</b>				
ერთწევრიანი შინამეურნეობა - ქვრივი	19	2	84	16
ერთწევრიანი შინამეურნეობა - სხვა	12	6	53	47
მშობლები 18 წლამდე შვილ(ებ)ით	3	14	10	90
მეუღლეები (რეგისტრირებული/ არარეგისტრირებული ქორწინება)	3	18	9	91
მრავალთაობიანი შინამეურნეობა (ცხოვრობს მინიმუმ 3 თაობა)	25	25	37	63
სხვა	39	34	40	60
<b>სულ პროცენტი</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>37</b>	<b>63</b>

**შინამეურნეობების განაწილება ძირითადი საცხოვრისის  
საკუთრების ფორმის და შინამეურნეობის უფროსის სქესის  
მიხედვით, 2021**  
განაწილება (%)

	ქალი	კაცი
<b>ქვეყანა</b>		
ეკუთვნის შინამეურნეობას	91.5	92.6
დაქირავებულია	4.6	3.3
დაგირავებულია	0.3	0.7
უფასო სარგებლობაშია	3.5	3.4
სხვა/არაიდენტიფიცირებული	0.0	0.0
<b>ქალაქად</b>		
ეკუთვნის შინამეურნეობას	89.0	89.5
დაქირავებულია	6.5	5.6
დაგირავებულია	0.5	1.3
უფასო სარგებლობაშია	4.0	3.7
სხვა/არაიდენტიფიცირებული	0.0	0.0
<b>სოფლად</b>		
ეკუთვნის შინამეურნეობას	97.2	96.9
დაქირავებულია	0.3	0.1
დაგირავებულია	0.0	0.0
უფასო სარგებლობაშია	2.5	3.0
სხვა/არაიდენტიფიცირებული	0.0	0.0

**შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლების  
თანაფარდობა შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით<sup>1)</sup>**  
(%)

	2011	2021
<b>1. შემოსავლები, სულ (2+3)</b>	100	99
<b>2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები</b>	102	101
დაქირავებული შრომიდან	90	89
თვითდასაქმებიდან	63	74
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	64	50
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	100	134
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	145	135
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	167	110
საჩუქრად მიღებული ფული	134	166
<b>3. არაფულადი შემოსავლები</b>	88	73
<b>4. სხვა ფულადი სახსრები</b>	91	105
ქონების გაყიდვა	51	126
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	100	105
<b>5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)</b>	100	101
<b>6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)</b>	98	99

<sup>1)</sup> მრიცხველში მოცემულია შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე, სადაც შინამეურნეობის უფროსი ქალია, ხოლო მნიშვნელში - კაცი.

**შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯების თანაფარდობა  
შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით<sup>1)</sup>**  
(%)


	2011	2021
<b>1. სამომხმარებლო ხარჯები, სულ (2+3)</b>	103	103
<b>2. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები</b>	105	106
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	105	104
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	104	101
საოჯახო მოხმარების საქონელზე	148	95
ჯანმრთელობის დაცვაზე	103	130
საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერჯიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე	117	123
ტრანსპორტზე	78	76
განათლებაზე	119	89
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	105	114
<b>3. არაფულადი ხარჯები</b>	88	73
<b>4. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები</b>	78	83
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	71	57
ტრანსფერტებზე	93	73

<sup>1)</sup> მრიცხველში მოცემულია შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულზე, სადაც შინამეურნეობის უფროსი ქალია, ხოლო მნიშვნელში - კაცი.


	2011	2021
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	57	84
ქონების შეძენაზე	110	126
5. ფულადი ხარჯები, სულ (2+4)	100	100
6. ხარჯები, სულ (3+5)	98	98

### ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები სქესის მიხედვით (%)

მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი  
მოსახლეობის წილი




მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი  
მოსახლეობის წილი



### სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი სქესის მიხედვით (SDG 1.2.1)

(%)



**შენიშვნა:** 2015 - სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების საბაზისო წელი.



ქალი და კაცი  
საქართველოში

# საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები



ყოველდღიურად იზრდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა 2020 წლიდან COVID პანდემიის პერიოდში, გლობალური მასშტაბით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ზრდის შედეგად. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შეღწევა განათლებაში, ელექტრონულ ვაჭრობაში, ბიზნესსა და სოციალურ კომუნიკაციაში, მას აქცევს შეუცვლელ საშუალებად, ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება. შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ერთ-ერთია იმ რამდენიმე სფეროს შორის, სადაც მაჩვენებლები გენდერულ ჭრილში ძალიან მსგავსია. ქალები და კაცები ერთნაირად ფლობენ კომპიუტერს და მობილურ ტელეფონებს, მათი ინტერნეტთან წვდომაც თანაბარია სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით.

მოსახლეობის მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ დეტალური მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში და შეიძლება აღინიშნოს, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში გენდერული განსხვავების ამკარა არარსებობა, პერსპექტივაში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

**15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება,  
კომპიუტერის გამოყენების სიხშირის მიხედვით<sup>1)</sup>,  
2022 წლის ივლისი**

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე	73	75	52	48
კვირაში ერთხელ მაინც	18	17	54	46
უფრო იშვიათად ვიდრე კვირაში ერთხელ	8	8	54	46
სულ პროცენტი	100	100		
რიცხოვნობა	760	690		

**15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება,  
ინტერნეტის გამოყენების სიხშირის მიხედვით<sup>2)</sup>, 2022 წლის  
ივლისი**

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე	94	92	54	46
კვირაში ერთხელ მაინც	5	7	46	54
უფრო იშვიათად ვიდრე კვირაში ერთხელ	1	1	62	38
სულ პროცენტი	100	100		
რიცხოვნობა	1 283	1 096		

<sup>1)</sup> ვინც ბოლო 3 თვეში გამოიყენა კომპიუტერი.

<sup>2)</sup> ვინც ინტერნეტით ისარგებლა ბოლო 3 თვეში.

**კომპიუტერით და ინტერნეტით უზრუნველყოფილი  
შინამეურნეობების წილი შინამეურნეობის უფროსის სქესის  
მიხედვით, 2022 წლის ივლისი**  
პროცენტული წილი (%)

	კომპიუტერით უზრუნველყოფილი	ინტერნეტით უზრუნველყოფილი
ქალი	57	86
კაცი	62	90

**6 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ბოლო  
12 თვის განმავლობაში ისარგებლა ინტერნეტით<sup>1)</sup>, 2022 წლის  
ივლისი**  
(%)

ასაკი	წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან	
	ქალი	კაცი
6-12	94	95
13-17	100	99
18-29	99	98
30-50	95	93
51-64	79	69
65+	37	32
სულ	80	81

<sup>1)</sup> იგულისხმება ბოლო 12 თვის განმავლობაში ნებისმიერ ადგილას ნებისმიერი მოწყობილობის (მობილური ტელეფონით, კომპიუტერით და სხვ.) საშუალებით ინტერნეტით დამოუკიდებლად სარგებლობა.


**15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ინტერნეტის გამოყენების ძირითადი მიზნების მიხედვით<sup>1)</sup>, 2022 წლის ივლისის პროცენტული წილი (%)**

ინტერნეტის გამოყენების მიზნები	ქალი	კაცი
სოციალური ქსელების გამოყენება	96.2	95.4
ონლაინ ახალი ამბების/ გაზეთების/ ჟურნალების ნაკითხვა	50.3	48.2
ელ. ფოსტის მიღება/ გაგზავნა	40.0	40.4
ინტერნეტ აუდიო/ ვიდეო კავშირი	93.3	88.8
ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება	62.1	38.8
საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება	44.1	42.3
სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა	14.3	13.9
ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა	42.1	40.4
პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის (გარდა თამაშებისა) ჩამოტვირთვა	16.5	19.2

<sup>1)</sup> ვინც ინტერნეტით ისარგებლა ბოლო 3 თვეში.


### 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ფლობს მობილურ ტელეფონს, 2022 წლის ივლისის (SDG 5.B.1)

პროცენტული წილი (%)




### 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც ფლობს სმარტფონს, 2022 წლის ივლისის

პროცენტული წილი (%)




### 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც იყენებს მობილურ ტელეფონს, 2022 წლის ივლისი

პროცენტული წილი (%)



### 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც იყენებს სმარტფონს, 2022 წლის ივლისი

პროცენტული წილი (%)



**15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვისაც  
ინტერნეტით ჰქონდა ურთიერთობა სახელმწიფო  
მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის მიზნების  
მიხედვით<sup>1)</sup>, 2022 წლის ივლისი**  
პროცენტული წილი (%)


	ქალი	კაცი
<b>ჰქონდა ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით</b>	13.0	9.1
სახელმწიფო დაწესებულებების ვებ-გვერდებიდან ინფორმაციის მოპოვება	12.2	8.6
ოფიციალური ფორმების/ბლანკების ჩამოტვირთვა	6.3	4.0
შევსებული ფორმების/ბლანკების წარდგენა	5.7	3.6
<b>არ ჰქონია ურთიერთობა ინტერნეტის მეშვეობით</b>	87.0	90.9

<sup>1)</sup> იგულისხმება ბოლო 12 თვეში, პირად საკითხებზე, ინტერნეტით ურთიერთობა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან ან საჯარო მომსახურების სააგენტოებთან.



ქალი და კაცი  
საქართველოში

# ბიზნეს სექტორი



ბიზნეს სექტორის ანალიზი გენდერულ ქრილში მოიცავს წარმოების პროცესის ორ ძირითად ფაქტორს: შრომას (დაქირავებით დასაქმებულები) და კაპიტალს (მენარმეები/ბიზნესის მფლობელები).

როგორც შრომის ბაზრის განხილვისას იყო წარმოდგენილი, ქალები ნაკლებად არიან დასაქმებულები და მათი ხელფასიც დაბალია, თითქმის ყველა ეკონომიკურ სექტორში. კერძოდ, ბიზნეს სექტორში მომუშავე ქალთა და კაცთა რიცხვი, შესაბამისად, 314 ათასი და 430 ათასი იყო, ხოლო ქალების საშუალო ხელფასი კაცების საშუალო ხელფასის 67 პროცენტს შეადგენდა.

უახლესი მონაცემებით, ბიზნესის დამფუძნებელი კაცები თითქმის ორჯერ აღემატება ამავე კატეგორიის ქალების რიცხოვნობას. თუ განვიხილავთ ეკონომიკური სექტორების მიხედვით, ბიზნესის მფლობელი ქალების შედარებით მცირე რაოდენობა გვხვდება სამთომოპოვებით მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტის და დასაწყობების სფეროში და სოფლის მეურნეობაში. მეორეს მხრივ, მფლობელი ქალების რიცხოვნობა გაცილებით მეტია, კაცი მფლობელების რიცხოვნობაზე საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, ჯანმრთელობა და სოციალური მომსახურება და სხვა სახის მომსახურებები.

**ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა საკუთრების ფორმის და სანარმოს ზომის მიხედვით, 2021**

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

	პროცენტული წილი		ქაენის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
<b>საკუთრების ფორმები:</b>				
კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)	79	73	44	56
კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)	15	18	39	61
სახელმწიფო	6	9	31	69
სულ პროცენტი	100	100	42	58
<b>სანარმოს ზომა:</b>				
მსხვილი სანარმო	40	37	45	55
საშუალო სანარმო	20	19	43	57
მცირე სანარმო	40	44	40	60
სულ პროცენტი	100	100	42	58
დასაქმებულთა რიცხოვნობა <sup>1)</sup>	314	430		


<sup>1)</sup> განაგარიშებულია დაკავებული სამუშაო ადგილების მიხედვით.

**ბიზნეს სექტორში პრომის საშუალო  
თვიური ნომინალური ხელფასი საკუთრების ფორმის და  
საწარმოს ზომის მიხედვით, 2021**

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი), ქალთა საშუალო  
თვიური ნომინალური ხელფასის პროცენტული წილი კაცთა ხელფასთან  
მიმართებაში (%)

	საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი		ქალების ხელფასი კაცების ხელფასთან მიმართებაში
	ქალი	კაცი	
კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)	963	1 464	66
კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)	1 560	2 041	76
სახელმწიფო	1 052	1 358	77
მსხვილი საწარმო	1 238	1 737	71
საშუალო საწარმო	1 254	1 892	66
მცირე საწარმო	751	1 196	63
სულ	1 064	1 564	68

**ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა განაწილება<sup>1)</sup> ეკონომიკური საქმიანობების სახეების მიხედვით, 2021**  
(%)



<sup>1)</sup> განაგარიშებულია საქმიანობის კლასიფიკატორის NACE rev. 2-ის მიხედვით.

**ბიზნეს სექტორში შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება  
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2021**

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (ლარი), ქალთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის პროცენტული წილი კაცთა საშუალო თვიურ ნომინალურ ხელფასთან მიმართებაში (%)

	საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი		ქალების ხელფასი კაცების ხელფასთან მიმართებაში
	ქალი	კაცი	
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	815	1 012	80
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 357	1 782	76
დამამუშავებელი მრეწველობა	907	1 468	62
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	1 761	1 589	111
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	563	1 293	44
მშენებლობა	1 412	1 861	76
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	870	1 416	61
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1 194	1 563	76
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	795	979	81
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 813	2 283	79

	საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი		ქალების ხელფასი კაცების ხელფასთან მიმართებაში
	ქალი	კაცი	
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1 409	1 444	98
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 995	2 663	75
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	868	993	87
განათლება	908	1 228	74
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	1 156	1 679	69
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1 376	1 754	78
სხვა სახის მომსახურება	501	731	69
საქმიანობის სახეების მიხედვით, სულ	1 064	1 564	68

**რეგისტრირებულ ახალ სანარმოთა რაოდენობა  
მფლობელის სქესის მიხედვით**  
სქესის მიხედვით განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

	2020	2021
ქალი	30	29
კაცი	59	58
არაიდენტიფიცირებული	11	13
სულ პროცენტი	100	100
რიცხოვნობა	40	51



**საქართველოში ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა  
რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და  
დაფუძნებულთა სქესის მიხედვით, 2021**  
განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
<b>სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა</b>	0	1	20	80
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	0	0	27	73
დამამუშავებელი მრეწველობა	4	3	36	64
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	0	0	22	78
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	0	0	17	83
მშენებლობა	1	6	8	92
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	21	13	45	55
ტრანსპორტი და დასაწყობება	2	5	15	85
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	3	2	44	56
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1	2	26	74
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	0	0	32	68
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	1	0	42	58
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	2	1	42	58

	პროცენტული ნილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1	1	40	60
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა	0	0	27	73
განათლება	1	0	60	40
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	0	0	55	45
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1	0	46	54
სხვა	1	0	57	43
საქმიანობა უცნობია	60	63	33	67
სულ პროცენტი	100	100		
რიცხოვნობა	15 108	29 698		

ქალი და კაცი  
საქართველოში

# სოფლის მეურნეობა



გენდერული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მეურნეობებისა და მათ სარგებლობაში არსებული აქტივების განაწილების შესწავლა მეურნის თუ საწარმოს ხელმძღვანელის სქესის მიხედვით. ბოლო რამოდენიმე წლის მანძილზე, იმ მეურნეობების წილი, რომელთა ხელმძღვანელი ქალია, სტაბილურად 32 პროცენტის ფარგლებშია, მაშინ როდესაც ასეთი მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის წილი მხოლოდ 19-21 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეს უკანასკნელი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დიდი მიწების მქონე მეურნეობების ხელმძღვანელები, უმეტესად კაცები არიან. მასშტაბებს შორის ზემოთ აღნიშნული სხვაობა კარგად ჩანს მეურნეობების საშუალო წლიურ მოგებაშიც. კერძოდ, 2020 წელს, ისეთი მეურნეობების საშუალო წლიური მოგება, რომელთა ხელმძღვანელი კაცია, მცირე მეურნეობების შემთხვევაში 51 პროცენტით, ხოლო საშუალო და მსხვილი მეურნეობების<sup>1)</sup> შემთხვევაში კი 43 პროცენტით აღემატება იმ მეურნეობების მოგებას, რომელთა ხელმძღვანელი ქალია.

საინტერესოა სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა განხილვა გენდერულ ქრილში. მაგალითად, 2021 წელს სასოფლო მეურნეობებში მომუშავე კაცების საშუალო რაოდენობა (იგულისხმება ოთხი კვარტალის აბსოლუტური მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკული) 14 პროცენტით აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს ქალებისათვის, მაშინ როდესაც წლის განმავლობაში კაცი მომუშავეების მიერ ნამუშევარი ჯამური კაცდღეების რაოდენობა მხოლოდ 4 პროცენტით აღემატება ქალების მიერ ნამუშევარ კაცდღეების რაოდენობას. ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასოფლო მეურნეობებში მომუშავე ქალები, საშუალოდ კაცებზე მეტს მუშაობენ. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ქალთა ინტენსიური ჩართულობა მეცხოველეობაში, რაც გულისხმობს პირუტყვის/ფრინველის გამოკვებას და პირუტყვის მონველას. ეს უკანასკნელი კი, როგორც წესი, მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტენდენცია იკვეთება ოჯახურ მეურნეობებში. ხოლო რაც შეეხება

<sup>1)</sup> მეურნეობის ზომა განისაზღვრება შემდეგი სამი პარამეტრით - მიწის ფართობი, პირუტყვის სულადობა და წარმოებული პროდუქციის ღირებულება. მეურნეობა მცირეა, თუ აღნიშნული სამი პარამეტრი ხვდება კუმულატიური განაწილების ქვედა 40%-ის საზღვრებში. სხვა შემთხვევაში მეურნეობა ითვლება საშუალო ან მსხვილ მეურნეობად.

სასოფლო-სამეურნეო სანარმოებს, ამ შემთხვევაში განსხვავებული ვითარებაა, რადგან, სამუშაო გრაფიკი მეტად განსაზღვრულია და შესაბამისად, ხასიათდება ნაკლები ვარიაციით. კერძოდ, 2021 წელს სასოფლო-სამეურნეო სანარმოებში დასაქმებულია 48 პროცენტით მეტი კაცი, ვიდრე ქალი, მათი ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა კი ქალების მიერ ნამუშევარ კაცდღეების რაოდენობას 47 პროცენტით აღემატება.

**სასოფლო მეურნეობების წარმოების მოცულობა  
შრომის დანახარჯის ერთეულზე, მეურნეობის ზომის და მეურნის  
სქესის მიხედვით, 2020 წ. (SDG 2.3.1)**

(ლარი/კაცდღე)

	მცირე მეურნეობები	საშუალო და მსხვილი მეურნეობები
ქალი	12.6	38.9
კაცი	13.5	41.5

**სასოფლო მეურნეობების საშუალო წლიური მოგება მეურნეობის  
ზომის და მეურნის სქესის მიხედვით, 2020 (SDG 2.3.2)**

(ლარი)

	მცირე მეურნეობები	საშუალო და მსხვილი მეურნეობები
ქალი	1 133	9 712
კაცი	1 712	13 919

**სასოფლო მეურნეობების განაწილება მეურნის ასაკის მიხედვით  
(%)**

	2020		2021	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
<b>სულ</b>	<b>32.2</b>	<b>67.8</b>	<b>32.1</b>	<b>67.9</b>
<25	0.4	0.3	0.1	0.3
25-39	3.8	7.9	3.3	6.8
40-59	27.3	44.4	27.7	42.1
60+	68.5	47.5	69.0	50.7

**სასოფლო მეურნეობების სარგებლობაში არსებული  
მინის ფართობის განაწილება  
(%)**

	2020		2021	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სულ მიწა (იჯარის ჩათვლით)	21	79	19	81

**სასოფლო მეურნეობებში  
მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობა, 2021  
რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)**

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობა	638.9	727.4	46.8	53.2
ოჯახურ მეურნეობებში მომუშავეთა საშუალო რიცხოვნობა	633.1	718.8	46.8	53.2
მათ შორის: შინამეურნეობის წევრები	493.8	506.0	49.4	50.6
შინამეურნეობის არაწევრი პირები*	139.3	212.8	39.6	60.4

\* დაქირავებული, მუშობელი, ნათესავი და სხვ.

**სასოფლო-სამეურნეო სანარმოებში მომუშავეთა  
საშუალო რიცხოვნობა, 2021**  
რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი
5.8	8.6	40.4	59.6

**სასოფლო მეურნეობებში  
ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა, 2021**  
რაოდენობა (ათასი კაცდღე), განაწილება (%)

	რაოდენობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სასოფლო მეურნეობებში ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა	40 892	42 626	49.0	51.0
ოჯახურ მეურნეობებში ნამუშევარი კაცდღეების რაოდენობა	40 024	41 351	49.2	50.8
მათ შორის: შინამეურნეობის წევრები	38 028	37 485	50.4	49.6
შინამეურნეობის არაწევრი პირები*	1 997	3 866	34.1	65.9


\* დაქირავებული, მუშობელი, ნათესავი და სხვ.



**სასოფლო-სამეურნეო სანარმოებში ნამუშევარი კაცდღების რაოდენობა სქესის მიხედვით**  
(ათასი კაცდღა)

2020		2021	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი
864	1 339	868	1 276

**სასოფლო მეურნეობებში მომუშავეთა განაწილება მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ორიენტირის და დასაქმებულთა სქესის მიხედვით, 2021**  
(%)





ქალი და კაცი  
საქართველოში

# სამართალდარღვევები



მსოფლიო მასშტაბით არსებული ტენდენციის მიხედვით, კაცები გაცილებით ხშირად სჩადიან დანაშაულს. ეს ტენდენცია გამოხატულია საქართველოში. ყველა სახის დანაშაულში მკვლევლობიდან დაწყებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით დამთავრებული, მამრობითი სქესის მოძალადეები შეადგენენ მთლიანი შემთხვევების 90%-ზე მეტს.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებულთა სტატისტიკა, სქესის მიხედვით, არსებითად შეიცვალა. 2007-2011 წლებში დაზარალებულთა უმეტესობას კაცები წარმოადგენდნენ დაახლოებით 60 პროცენტის ნილით. თუმცა, ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაზარალებულ ქალთა წილი სტაბილურად იზრდებოდა და 2021 წელს 48 პროცენტს გაუტოლდა.

ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში კაცებზე მეტი ქალი დარეგისტრირდა, როგორც დაზარალებული, დიდწილად უკავშირდება ოჯახში ძალადობის საკითხებს, რომლის ძირითად მსხვერპლს წარმოადგენენ ქალები. საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის ღონისძიებების ფართო სპექტრი იქნა შემოღებული. ამ მიმართულებით განუღმა ძალისხმევამ გამოიწვია აღნიშნულ საკითხებში სოციალური ცნობიერების ამადლების მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, 2015 წელს ოჯახში ძალადობის 2 638 რეგისტრირებული მსხვერპლიდან, 2021 წელს ამ მაჩვენებელმა 8 330-ს გადააჭარბა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ რეგისტრირებული შემთხვევები, ოჯახში ძალადობის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს, რეგისტრირებული საჩივრების და გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის ზრდა, სამართალდარღვევების სფეროში შეიძლება შეფასდეს, როგორც პოზიტიური მოვლენა.

## მსჯავრდადებულთა რიცხოვნობა დანაშაულის სახეების მიხედვით, 2021

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
განზრახ მკვლელობა	2	79	2	98
განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში	1	56	2	98
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	2	101	2	98
გაუპატიურება	-	34	-	100
ძარცვა	3	151	2	98
ყაჩაღობა	1	126	1	99
ქურდობა	147	2 869	5	95
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	27	1 227	2	98
ხულიგნობა	-	46	-	100
ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა	17	604	3	97
სხვა	723	9 196	7	93
<b>სულ</b>	<b>923</b>	<b>14 489</b>	<b>6</b>	<b>94</b>

**წყარო:** საქართველოს უზენაესი სასამართლო.

**მსჯავრდადებულთა განაწილება ასაკის მიხედვით, 2021**

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
არასრულწლოვნები (14-17 წლის)	2	1	7	93
სრულწლოვნები (18+)	98	99	6	94
სულ პროცენტი	100	100	6	94
რიცხოვნობა	923	14 489		

წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო.

**ბრალდებულთა და მსჯავრდადებულთა რიცხოვნობა, რომელთა მიმართაც განხორციელდა სხვადასხვა სახის შეღავათი, 2021**

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სრულწლოვანი				
შენყალბებული	12	32	27	73
ამნისტირებული	16	242	6	94
პირობით ვადამდე გათავისუფლებული	40	780	5	95
სულ	68	1 054	6	94

წყარო: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

**მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რიცხოვნობის შესახებ, 2021 (SDG 16.1.3)**  
 რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

მოძალადე				მსხვერპლი			
რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება		რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
1 351	6 639	17	83	6 940	1 398	83	17

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**ოჯახში ძალადობის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)  
მსხვერპლთა თავშესაფარში განთავსების სტატისტიკა, 2021  
(SDG 16.2.2)**

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
<b>ოჯახში ძალადობის მსხვერპლი</b>				
<17	33	3	92	8
18-23	42	3	93	7
24-43	78	-	100	-
44+	16	6	73	27
არაიდენტიფიცირებული	12	1	92	8
მსხვერპლზე დამოკიდებული პირი <18 (ორივე სქესი)	116	-	100	-
<b>სულ</b>	<b>297</b>	<b>13</b>	<b>96</b>	<b>4</b>
<b>ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი</b>				
<17	1	1	50	50
18-23	-	1	-	100
24-43	1	-	100	-
44+	-	2	-	100
<b>სულ</b>	<b>2</b>	<b>4</b>	<b>33</b>	<b>67</b>

**წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.



**შემაკავებელი ორდერების რაოდენობა (SDG 16.3.1)**

რაოდენობა (ერთეული)

	2017	2018	2019	2020	2021
<b>შემაკავებელ ორდერებში მონაწილე პირები:</b>					
ქალი	3 992	6 829	9 003	9 092	8 291
კაცი	3 989	6 689	8 591	8 768	8 037
<b>გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა, სულ</b>	<b>4 370</b>	<b>7 646</b>	<b>10 266</b>	<b>10 321</b>	<b>9 376</b>

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

**დაზარალებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები, 2021**

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა	სქესის მიხედვით განაწილება
ქალი	10 526	48
კაცი	11 499	52
არაიდენტიფიცირებული	85	0
<b>სულ</b>	<b>22 110</b>	<b>100</b>

წყარო: საქართველოს პროკურატურა.

**პატიმართა რიცხოვნობა, 2021**

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სრულწლოვნები	299	8 856	3	97
არასრულწლოვნები	2	46	4	96
სულ	301	8 902	3	97

**წყარო:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.**აკტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა რიცხოვნობა<sup>1)</sup>, 2021 (SDG 3.6.1)**

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
დაღუპულთა რიცხოვნობა	65	213	23	77
დაშავებულთა რიცხოვნობა	2 289	4 091	36	64

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

<sup>1)</sup> მონაცემები მოიცავს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიაზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაღუპულ და დაშავებულ მოქალაქეთა რიცხოვნობას.

**მართვის მოწმობების გაცემისა და  
რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების  
ფლოტების სტატისტიკა, 2021**  
რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)


	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
მართვის მოწმობების გაცემა <sup>1)</sup>	30 233	69 823	30	70
რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელები <sup>2)</sup>	228 504	1 104 845	17	83

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

<sup>1)</sup> პირველად აღებული ან შეცვლილი.

<sup>2)</sup> პირველად რეგისტრირებული ან გადაფორმებული.

**მართვის მოწმობების გაცემისა და რეგისტრირებული  
ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელების  
განაწილება, 2021**  
(%)



**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ქალი და კაცი  
საქართველოში

# ხელისუფლება




საქართველოში ხელისუფლების სამ შტოში გენდერული განსხვავებები კვლავ საკმაოდ არათანაბარია. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წრეებში - გენდერული სხვაობა ძალაუფლებაში შედარებით ზომიერია. აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს შორის ქალთა წილი შეადგენს 15 პროცენტს, ხოლო მინისტრებს შორის - 25 პროცენტს. რაც შეეხება ხელისუფლების საკანონმდებლო შტოს, საერთო სასამართლოების მოსამართლეებში ქალები შეადგენენ 55 პროცენტს.

ამასთან, ყველაზე დიდი გენდერული სხვაობა ძალაუფლებაში ტრადიციულად შეიმჩნევა საკანონმდებლო შტოში, როგორც ეროვნულ, ისე მუნიციპალურ დონეზე. 2021 წელს საქართველოს პარლამენტში ქალი პარლამენტარების წილმა 19 პროცენტი შეადგინა, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობა 11 პროცენტი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ჩატარებულ ეროვნულ არჩევნებში ამომრჩეველ ქალთა წილმა დაახლოებით 51 პროცენტი შეადგინა.

ძალაუფლებაში გენდერული სხვაობის შემცირება, საარჩევნო კოდექსში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების მთავარ მიზანს წარმოადგენს. დადგენილი გენდერული კვოტები, ქალი დეპუტატების წილის ზრდას გამოიწვევს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქალები კიდევ უფრო მაღალი წილით იქნებიან წარმოდგენილნი.

## დეკლარირებული განაწილება საქართველოს კარლაგენებში (SDG 5.5.1)

31 დეკემბრის მდგომარეობით, %



წყარო: საქართველოს კარლაგენების აპარატი.

## მეშორიობრივი დეკლარაციების რიცხოვნობა საქართველოს კარლაგენებში, 2021 (SDG 5.5.1)

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი
0	29	0	100

წყარო: საქართველოს კარლაგენების აპარატი.

## დეკლარაცია რიცხოვნობა ფრაქციების მიხედვით საქართველოს პარლამენტში, 2021 წ.

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ქართული ოცნება	14	69	17	83
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	6	24	20	80
„ლელო“ - პარტნიორობა საქართველოსთვის“	2	5	29	71
საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი „გირჩი“	0	4	0	100
საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი „ევროპელი სოციალისტები“	0	4	0	100
საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი „მოქალაქეები“	0	2	0	100
საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფი „რეფორმების ჯგუფი“	2	3	40	60
ფრაქციის გარეშე	4	8	33	67
სულ	28	119		

წყარო: საქართველოს პარლამენტის აპარატი.



**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, საქართველოს  
პარლამენტის აპარატში და საქართველოს კრედიტების  
ადმინისტრაციაში დასაქმებულთა რიცხოვნობა, 2021 (SDG 16.7.1)**  
31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
დასაქმებულთა:				
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში	94	68	58	42
საქართველოს პარლამენტის აპარატში	652	501	57	43
საქართველოს კრედიტების ადმინისტრაციაში	54	39	58	42

**წყარო:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია; საქართველოს პარლამენტის აპარატი; საქართველოს კრედიტების ადმინისტრაცია.

**საქართველოს მთავრობის შუამდგენლობა, 2021 (SDG 16.7.1)**

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველოს მინისტრები (სახელმწიფო მინისტრების ჩათვლით)	3	9	25	75
მინისტრის მოადგილეები	13	37	26	74

**წყარო:** საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

**საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა  
რიცხოვნობა, 2021 (SDG 16.7.1)**

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი
174	142	55	45

**წყარო:** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

**საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების, საზღვარგარეთ საქართველოს მუდმივი წარმომადგენლებისა და წარმომადგენლების რიცხოვნობა, 2021 (SDG 16.7.1)**

31 დეკემბრის მდგომარეობით, რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	2017		2021	
	რიცხოვნობა	სქესის მიხედვით განაწილება	რიცხოვნობა	სქესის მიხედვით განაწილება
<b>ელჩები:</b>				
ქალი	6	11	8	15
კაცი	52	89	47	85
სულ	58	100	55	100

**წყარო:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**ამომრჩეველთა აქტივობა მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების დროს, 2021**

განაწილება (%)

	ამომრჩეველთა აქტივობა (არჩევნებში მონაწილე)		სქესის მიხედვით განაწილება (აქტივობა სიდიდან)	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
2 ოქტომბერი-პირველი ტური	51	49	49	55
30 ოქტომბერი-მეორე ტური	52	48	47	52

**წყარო:** საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ქალი და კაცი  
საქართველოში

# დროის გამოყენების სტატისტიკა




საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, 2020-2021 წლებში საქართველოში პირველად ჩაატარა დროის გამოყენების გამოკვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქართველოში დროის გამოყენების შესახებ სტატისტიკურად სანდო და საერთაშორისო დონეზე შესადარისი მონაცემების მიღება, გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება, მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მაჩვენებლების გაანგარიშება და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართული პოლიტიკის ინფორმირება.

გამოკვლევა ევროსტატის და გაეროს მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს დაეფუძნა, რაც მიღებული მაჩვენებლების საერთაშორისო დონეზე შესადარისობას უზრუნველყოფს. გამოკვლევის შედეგად შეგროვდა მონაცემები მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის შესახებ, მათ შორის, ანაზღაურებად და არაანაზღაურებად სამუშაოზე, საოჯახო საქმეებზე, ბავშვის მოვლაზე, მგზავრობაზე, სწავლაზე, დასვენებაზე და ა.შ.

გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღეს 15 წლისა და უფროსი ასაკის პირებმა, რომლებიც დროის გამოყენების დღიურში 10 წუთიანი ინტერვალით აღწერდნენ მათ მიერ განხორციელებულ აქტივობებს წინასწარ დადგენილი სრული ორი დღისთვის.

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მე-5 მიზანია „გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგოს გაძლიერება“, რომლის შესრულების მონიტორინგისთვის რეკომენდებული ინდიკატორია SDG 5.4.1 „აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი“. ქალების მიერ აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი 17.8 პროცენტს შეადგენს, რაც 4.8-ჯერ აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს (3.7 პროცენტი). თბილისში გენდერული თანაფარდობა 4.6-ს შეადგენს, სხვა ქალაქებში - 5.1-ს, ხოლო სოფლებში - 4.5-ს. ყველა ტიპის დასახლებაში და ყველა ასაკობრივ ჯგუფში აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე ქალების მიერ დახარჯული დრო მკვეთრად აღემატება კაცების ამავე მაჩვენებელს. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 25-44 წლის ქალებში და 23.0 პროცენტს შეადგენს.


### მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო (საათი)



- საკუთარ თავზე ზრუნვა
- დასვენება
- სოციალიზაცია და კომუნიკაცია
- სწავლა
- მოხალისეთაგან და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა
- აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება
- აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება
- პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის
- დასაქმება


წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.

## თბილისის მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო (საათი)



წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.

### სხვა ქალაქებში (თბილისის გარდა) მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო (საათი)




წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.

## სოფლის მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დღეები დახარჯული საშუალო დრო

(საათი)


სოფლები



წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.




### 15-24 წლის მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო (საათი)



წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.


## 25-44 წლის მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო

(საათი)




წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.

### 45-64 წლის მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო (საათი)



წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.


**65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო (საათი)**



წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.


## სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის დონე

(%)




წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.

**შინამეურნეობების და ოჯახის წევრებისთვის განვულ  
აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული  
დროის წილი, დასახლების ტიპის მიხედვით (SDG 5.4.1)**  
(%)




წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.

**შინამეურნეობების და ოჯახის წევრებისთვის განვულ  
აუნაზღაურებელ ზრუნვასა და საოჯახო შრომაზე დახარჯული  
დროის წილი, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (SDG 5.4.1)**  
(%)



წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.


## 24 საათის განმავლობაში ქალების მონაწილეობის დონე სხვადასხვა აქტივობაში (%)



- საკუთარ თავზე ზრუნვა
- დასვენება
- სოციალიზაცია და კომუნიკაცია
- სწავლა
- მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა
- აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება
- აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება
- პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის
- დასაქმება

წყარო: დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.

## 24 საათის განმავლობაში კაცების მონაწილეობის დონა სხვადასხვა აქტივობაში (%)



- საკუთარ თავზე ზრუნვა
- დასვენება
- სოციალიზაცია და კომუნიკაცია
- სწავლა
- მოხალისეობრივი და სხვა სახის აუნაზღაურებელი შრომა
- აუნაზღაურებელი ზრუნვის მომსახურება
- აუნაზღაურებელი საოჯახო მომსახურება
- პროდუქციის წარმოება საკუთარი მოხმარებისთვის
- დასაქმება

**წყარო:** დროის გამოყენების გამოკვლევა, 2020-2021.



## ცნებები და განმარტებები

**აბორტი** – მაჩვენებელი გვიჩვენებს ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას, რომელიც ხორციელდება: ა) ნებაყოფლობით (ქალის მოთხოვნის საფუძველზე) ორსულობის 12 კვირამდე (ჩათვლით); ბ) სამედიცინო და სოციალური ჩვენებების შესაბამისად ორსულობის 12-დან 22 კვირამდე.

**ავადობის დონე** – განისაზღვრება პირველად დადგენილი დიაგნოზით ავადმყოფთა რაოდენობის შეფარდებით მუდმივი მოსახლეობის საშუალო წლიურ რაოდენობასთან.

**არასრულწლოვანი დამნაშავეები** – პირები, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული 14-დან 18 წლამდე ასაკში.

**არაფორმალური დასაქმება** – არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულები, რომლებიც თავიანთ სამუშაოზე არ იყვნენ ან ნაწილობრივ იყვნენ დაცული ფორმალური შეთანხმებებით (არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს ხელფასიდან; ან/და დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებით; ან/და დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი საავადმყოფო ფურცლით ავადმყოფობის შემთხვევაში; ან/და დამსაქმებელი არ იხდიდა საპენსიო ფონდში შენატანს) ან განსაზღვრავენ საკუთარი დასაქმების სტატუსს, როგორც ოჯახის სანარმოში/მეურნეობაში დამხმარე, ან მუშაობდნენ სანარმოებში, რომლებიც არ არის რეგისტრირებული.

**აუნაზღაურებელი შრომა** - საქმიანობა, რომლის შედეგად მიიღება პროდუქტი ან მომსახურება, მაგრამ არ არის ანაზღაურებული ფულადი ან სხვა სახის კომპენსაციით. მაგალითად, საოჯახო საქმიანობა, ოჯახის წევრებზე ზრუნვა და ა.შ. GTUS-ში აუნაზღაურებელი შრომის აქტივობები განსაზღვრულია ICATUS (2016) კლასიფიკაციის მიხედვით.

**აქტივობაზე დღეში დახარჯული საშუალო დრო** - კონკრეტულ აქტივობაზე მოსახლეობის მიერ დღის განმავლობაში დახარჯული საშუალო დრო.

**აქტივობების კლასიფიკაცია** - ყველა იმ აქტივობის კლასიფიკაცია, რაზეც ადამიანმა შეიძლება დახარჯოს დრო დღე-ღამის განმავლობაში.

**ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს (NEET rate)** - 15-29 წლის იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში, რომლებიც არ სწავლობენ, არ არიან დასაქმებულები და არ გადიან ტრენინგებს.

**ბავშვის გაშვილება** - განისაზღვრება, როგორც მშობლის უფლებაზე ნებაყოფლობით უარის თქმა და ბავშვის გადაცემა აღსაზრდელად მშვილებლებისთვის; მშვილებელსა და შვილად აყვანილ ბავშვს შორის წარმოშობილი ისეთივე ურთიერთობა, როგორიცაა მშობელსა და შვილს შორის. ბავშვის გაშვილების აუცილებელი პირობაა მშობლის (მშობლების) თანხმობა, რომელსაც იგი (ისინი) განაცხადებს (განაცხადებენ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირის წინაშე. ობოლი ან/და მიტოვებული ბავშვის გაშვილება დასაშვებია მშობლის (მშობლების) თანხმობის გარეშე. ბავშვის გაშვილებაზე მშობლის (მშობლების) თანხმობა არ არის საჭირო, თუ იგი (ისინი) აღიარებულია (აღიარებული არიან) ქმედუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ან/და ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლება.

**განზრახ მკვლელობა** - ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის სიცოცხლის მიზანმიმართული ხელყოფა.

**განქორწინება (ქორწინების შეწყვეტა)** - იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეებს შორის არსებული ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს და დადასტურებულია შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

**გარდაცვალების მიზეზები** - ავადმყოფობები, პათოლოგიური ან ფიზიოლოგიური მდგომარეობები, ტრავმები, რომლებიც იწვევენ ან ხელს უწყობენ სიკვდილის დადგომას. აგრეთვე, უბედური შემთხვევებისა და ძალდატანებითი სიკვდილის ის გარემოებანი, რომლებმაც გამოიწვიეს სიკვდილი.

**განდერი** ეხება როლებს, ქცევებს, საქმიანობებს და თვისებებს, რომელსაც გარკვეული საზოგადოება, დროის გარკვეულ პერიოდში განსაზღვრავს, როგორც შესაბამისს და მისაღებს ქალებისთვის და კაცებისთვის. სოციალური მახასიათებლების და შესაძლებლობების გარდა, რომელიც ასოცირდება ქალად/კაცად

ყოფნასთან და ქალებსა და კაცებს შორის, ასევე გოგოებსა და ბიჭებს შორის ურთიერთობასთან, გენდერი ასევე ეხება ქალებს შორის და კაცებს შორის ურთიერთობებს. გენდერთან ასოცირებული თვისებები, შესაძლებლობები და ურთიერთობები სოციალურად კონსტრუირებულია და მათი დასწავლა სოციალიზაციის პროცესში ხდება; განპირობებულია კონტექსტით, დროით და ცვალებადია. გენდერი განსაზღვრავს, თუ რა არის მოსალოდნელი, დაშვებული და ღირებული ქალის/კაცის შემთხვევაში, მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით. მრავალ საზოგადოებაში სახეზეა ქალებსა და კაცებს შორის განსხვავებები და უთანასწორობები დაკისრებული პასუხისმგებლობების/ვალდებულებების, განხორციელებული აქტივობების, რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და კონტროლის, ასევე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობების მიხედვით. გენდერი ფართო სოციალურ-კულტურული კონტექსტის შემადგენელი ნაწილია. გენდერი ისეთივე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია სოციალურ-კულტურული კონტექსტის ანალიზისთვის, როგორც არის კლასი, რასა, სიღარიბის დონე, ეთნიკური ჯგუფი, სექსუალური ორიენტაცია, ასაკი და სხვა.

**გენდერული სახელფასო სხვაობა** წარმოადგენს წარმოადგენს კაცისა და ქალის საშუალო ხელფასებს შორის სხვაობის თანაფარდობას კაცის საშუალო ხელფასთან. გენდერული სახელფასო სხვაობა, რომელიც არ ითვალისწინებს დემოგრაფიულ და სამუშაო მახასიათებლებს, ცნობილია, როგორც **შეუსწორებელი** გენდერული სახელფასო სხვაობა. დემოგრაფიული მახასიათებლების (ასაკი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილმდებარეობა - რეგიონი/დასახლების ტიპი და ა.შ.) და სამუშაო მახასიათებლების (ეკონომიკური საქმიანობის სფერო, დაკავებული პოზიცია და ა.შ.) გათვალისწინების შემთხვევაშიც კაცისა და ქალის ხელფასებს შორის არსებობს სხვაობა, რომელსაც ზომავს შეუსწორებელი გენდერული სახელფასო სხვაობა. აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელს.

**დასაქმებული** - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევე პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მინც შრომის ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ავადმყოფობის, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო.

**დასაქმების დონე** – დასაქმებულთა პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

**დაქირავებული** – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ კვირის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების მიღების მიზნით, ფულადი ან ნატურის სახით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო.

**დაქორწინებულთა საშუალო ასაკი** - გარკვეულ პერიოდში დაქორწინებულთა მთელი ერთობლიობის საშუალო ასაკი. გაიანგარიშება როგორც დაქორწინებულთა ასაკების საშუალო არითმეტიკული ქორწინებისას.

**დროის გამოყენების გამოკვლევა** - დროის გამოყენების გამოკვლევა (TUS) შეისწავლის, რა დროს ხარჯავს მოსახლეობა სხვადასხვა აქტივობაზე, როგორებიცაა: ანაზღაურებადი შრომა, საოჯახო საქმიანობა, ზრუნვა, სწავლა, თავის მოვლა, მოხალისეობრივი საქმიანობა, სოციალიზაცია, მგზავრობა, დასვენება და ა.შ. დროის გამოყენების გამოკვლევის საფუძველზე მიღებული მაჩვენებლები გამოიყენება თანასწორობასთან, ოჯახთან, სოციალურ, სატრანსპორტო, კულტურულ და სხვა საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებისა და გაუმჯობესებისთვის, ასევე, შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის ღირებულების შესაფასებლად და არსებული მდგომარეობის საერთაშორისო დონეზე შედარების მიზნით.

**ემიგრანტი** – პირი, რომელმაც დატოვა საქართველო და ბოლო 12 თვის განმავლობაში სულ მცირე 183 დღით (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე გასვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა (ე.ი. მას ქვეყნიდან გასვლამდე წინა 12 თვეში საქართველოში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე).

**ექიმების რიცხოვნობა** – მოიცავს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე ყველა ექიმს დაკავებული თანამდებობების მიხედვით, რომელიც წლის ბოლოსათვის დასაქმებულია სამკურნალო და სანიტარულ ორგანიზაციებში, სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, აგრეთვე

<sup>1)</sup> დოკუმენტი ხელმისაწვდომია აქ: <https://undocs.org/E/CN.3/2018/2>

სამედიცინო კადრების მოსამზადებელ დაწესებულებებში, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში და სხვ.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამენარჩეო ან არასამენარჩეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც.

**თვითდასაქმებული** – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ პერიოდის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც მოგების მიღების მიზნით ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე.

**თვითმკვლელობა** – საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა.

**იმიგრანტი** – პირი, რომელმაც გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვის განმავლობაში სულ მცირე 183 დღით (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა (ე.ი. მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე).

**ინტერნეტის მომხმარებლები** – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ერთხელ მაინც დამოუკიდებლად ისარგებლა ინტერნეტით ნებისმიერი მოწყობილობის საშუალებით (მობილური ტელეფონით ან სმარტფონით, კომპიუტერით და სხვ.), ნებისმიერ ადგილას (საცხოვრისში, სამსახურში ან სხვა ადგილას).

**კერძო საკუთრების ფორმა (კერძო ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)** - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი კერძო პირის საკუთრებაშია.

**კერძო შერეული საკუთრების ფორმა (კერძო უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი)** - ეკონომიკური სუბიექტის საწესდებო კაპიტალში საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი კერძო პირის წილობრივი მონაწილეობა.

**კომპიუტერის მომხმარებლები** – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ერთხელ მაინც დამოუკიდებლად ისარგებლა ნებისმიერი ტიპის კომპიუტერით

(სტაციონარული კომპიუტერი, ლეპტოპი, ნეტბუქი, პლანშეტური კომპიუტერი), ნებისმიერ ადგილას (საცხოვრისში, სამსახურში ან სხვა ადგილას).

**მდგრადი განვითარების მიზნების შეფასების მაჩვენებელი** - გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის სექტემბერში A/RES/70/1 რეზოლუციით მიიღო 2030-ის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის. მდგრადი განვითარების მიზნების შეფასების ჩარჩო დამტკიცდა 2017 წლის ივლისში. აღნიშნული შეფასების ჩარჩო ითვალისწინებს 17 მიზანს და 232 მაჩვენებელს. პუბლიკაციაში მითითებულია მაჩვენებლები გაეროს გენერალური ანსამბლეს E/CN.3/2018/2 დოკუმენტიდან .

**მკვდრადშობილი** - ნაყოფი, რომლის სიკვდილიც, მიუხედავად იმისა, რა ხანგრძლივობის არის ორსულობა, წინ უსწრებს მის სრულ გამოქვეყნას ან გამოყვანას დედის ორგანიზმიდან, არ სუნთქავს ან არ ავლენს სიცოცხლის რაიმე სხვა ნიშანს, როგორცაა: გულისცემა, ქიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების ცალკეული ჯგუფების შეკუმშვა.

**მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა** - ქვეყნის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებთა ერთობლიობა დროის მოცემულ მომენტში. მოსახლეობის რიცხოვნობა გაიანგარიშება 1 იანვრის მდგომარეობით და მიიღება ბუნებრივი მატებისა და გარე მიგრაციის გათვალისწინებით.

**მზარდების შობადობის კოეფიციენტი** - 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა ამავე ასაკობრივი ჯგუფის 1 000 ქალზე.

**მონაწილეობის დონე (აქტივობაში ჩართული მოსახლეობის წილი)** - იმ მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც დღის განმავლობაში გარკვეულ დროს უთმობენ კონკრეტული აქტივობის განხორციელებას.

**მოსახლეობის მედიანური ასაკი** - ასაკი, რომელთან შედარებითაც ქვეყნის მოსახლეობის ერთი ნახევარი უფროსია, მეორე ნახევარი კი - უმცროსი.

**მოძალადე** - ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულვებლყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით. მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადო-

ებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას. მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე სხვა პასუხისმგებელი პირი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც არღვევს სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე მასთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები არასრულწლოვნის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით.

**მსჯავრდადებულთა რაოდენობა** მოიცავს ფიზიკურ პირებს, რომელთა მიმართ სასამართლოების მიერ გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი.

**ოჯახური მეურნეობა** - მეურნეობა, რომელსაც უძღვება (რომლის მეურნეა) შინამეურნეობა.

**ოჯახში ძალადობის მსხვერპლი** – ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ - მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი).

**ოჯახის წევრი** - პირი, რომელსაც აქვს უფლება-მოვალეობები ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარე. ოჯახის წევრის ქონებრივი, მემკვიდრეობითი, საბინაო და სხვა უფლება-მოვალეობები რეგულირდება სახელმწიფო კანონმდებლობით.

**პატიმართა რიცხოვნობაში** იგულისხმება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხოვნობის საერთო რაოდენობა.

**პენსია (ასაკით პენსია)** არის ყოველთვიური სახელმწიფო გასაცემელი, რომელსაც დებულობს საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქე, ასევე, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე, კანონიერ საფუძველზე, მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე საპენსიო ასაკის პირები, მათი მინიმალური საარსებო საშუალებით უზრუნველყოფის მიზნით.

**საარსებო შემწეობა** – საარსებო შემწეობას იღებს ოჯახი, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე.

**სამეწარმეო საქმიანობა** განისაზღვრება, როგორც მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე და ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

**სამუშაო ძალა** – დასაქმებული და უმუშევარი მოსახლეობა.

**სამუშაო ძალის გარეთ** – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევია პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, არ ეძებდა სამუშაოს გასული 4 კვირის განმავლობაში და/ან არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

**სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე** – სამუშაო ძალის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

**სასოფლო მეურნეობა (მეურნეობა)** – ეკონომიკური ერთეული, რომელიც ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ ეწევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, მიუხედავად მისი ზომისა და იურიდიული სტატუსისა. მეურნეობის ტიპებია: ოჯახური მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო სანარმო.

**სასოფლო-სამეურნეო სანარმო** – მეურნეობა, რომელსაც უძღვება (რომლის მეურნეა) იურიდიული პირი: შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი და სხვა.



**საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი** - განისაზღვრება საანგარიშო პერიოდში დარიცხული ხელფასის (შრომის ანაზღაურების) ფონდის გაყოფით დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობაზე, რომელთაც შესაბამის პერიოდში (კვარტალი, წელი) დაერიცხათ ხელფასი. არასრული განაკვეთით დაქირავებით დასაქმებულთა რიცხოვნობა გაანგარიშებულია სრული განაკვეთის ექვივალენტურად.

**საცხოვრისი** - არის ნაგებობა, რომელშიც ცხოვრობს შინამეურნეობა და ის მინის ნაკვეთი, რომელზეც ეს ნაგებობა არის აშენებული. საცხოვრისი მთლიანად ან ძირითადად უნდა გამოიყენებოდეს როგორც საცხოვრებელი ადგილი, ნებისმიერი დაკავშირებული ნაგებობის ჩათვლით, მაგალითად ავტოფარეხი.

**სანარმო** - არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ (ფლობს გადაწყვეტილებათა მიღებაში თავისუფლების განსაზღვრულ ხარისხს). სანარმო ახორციელებს ერთ ან რამოდენიმე საქმიანობის სახეს, ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით. სანარმო შეიძლება იყოს ინდივიდუალური (ფიზიკური) ან იურიდიული პირი. სანარმოები ზომის მიხედვით იყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე. მსხვილი ზომის სანარმოებს განეკუთვნება სანარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს. საშუალო ზომის სანარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის სანარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს. მცირე ზომის სანარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სანარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.

**სახელმწიფო საკუთრების ფორმა** - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია.

**სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას** - წლების რაოდენობა, რომელსაც საშუალოდ იცოცხლებს ერთი ადამიანი დაბადებულთა თაობიდან

იმ პირობით, რომ მოკვდაობის დონე ყოველ ასაკში დარჩება ისეთი, როგორც არის მოცემულ პერიოდში.

**სოციალური პაკეტი** – არის ყოველთვიური სახელმწიფო გასაცემელი, რომელსაც დებულობს საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული კატეგორია, კანონით განსაზღვრული შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.

**სქესი** - ფიზიკური და ბიოლოგიური მახასათებლები, რომელიც ქალებსა და კაცებს ერთმანეთისგან განასხვავებს.

**სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას** - ბიჭებისა და გოგონების რიცხოვნობის თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულთა შორის და უჩვენებს ყოველ 100 გოგონაზე რამდენი ბიჭი იბადება.

**ტრეფიკინგი (ადამიანით ვაჭრობა)** არის დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმების (მოტაცება, შანტაჟი, თაღლითობა, მოტყუება, უმწეო მდგომარეობაში ჩაყენება, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება) გამოყენებით, რომლის დროსაც ხდება ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, საკუთარ ან სხვა ქვეყანაში ტრანსპორტირება, ადამიანით მოვაჭრეებისათვის გადაცემა, შეფარება ან/და მიღება მისი ექსპლუატაციის გზით სარგებლის მიღების მიზნით.

**უმაღლესი განათლების პირველი ეტაპი** – განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის V-VII საფეხური – საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ საშუალო ზოგადი განათლების შემდგომ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას (პროფესიული პროგრამები, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა).

**უმაღლესი განათლების მეორე ეტაპი** – განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის VIII საფეხური - უზრუნველყოფს განათლების მიღებას უმაღლესი განათლების შემდეგ. სწავლება მიმდინარეობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მთავრდება დისერტაციის დაცვით მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

**უმუშევარი** – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევი პერი-

ოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, გასული 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

**უმუშევრობის დონე** – უმუშევართა პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

**ფარდობითი სიღარიბე** შეფასებულია ორი სხვადასხვა ზღვრის მიმართ:

- მედიანური მოხმარების 60 %
- მედიანური მოხმარების 40 %.

**მედიანური მოხმარების 60% და მედიანური მოხმარების 40%** სიღარიბის ფარდობითი ზღვრებია, რომლებიც მთლიანი მოხმარების (სამომხმარებლო ხარჯების) მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანიდან აითვლება.

• მედიანური მოხმარება მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების ისეთი სიდიდეა, რომ მოსახლეობის ნახევარი (50 %) მასზე ნაკლებს, ხოლო მეორე ნახევარი მასზე მეტს მოიხმარს.

• მოსახლეობის ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები შეფასებულია შინამეურნეობების მთლიანი მოხმარების საფუძველზე ერთ ეკვივალენტურ მოზრდილზე გადაანგარიშებით ერთობლივი მოხმარების (თანაცხოვრების) ეფექტის გათვალისწინებით.

**ფაქტიურად ნამუშევარი საათები** – მოიცავს დროს, რომელსაც საანგარიშო პერიოდში (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) დასაქმებული პირები ხარჯავენ უშუალოდ სამუშაოს შესრულებაზე ან მასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე; ასევე, მოიცავს სამუშაოს დროებით შეჩერებისა და მოკლე შესვენების დროს.

**ქორწინება** – ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

**ქურდობა** – სხვისი ქონების ფარული გატაცება.

**ყაჩაღობა** – თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, დაშინების და

ძალადობის გამოყენებით.

**შინამეურნეობა** – ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც ექვემდებარებიან ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთ-მანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი ადამიანისგანაც).

**შინამეურნეობის შემოსავლები** – მოიცავს შინამეურნეობისა და მისი წევრების ყველა შემოსულობას გამოსაკვლევ პერიოდის განმავლობაში. მთლიანი შემოსავალი შედგება ფულადი და არაფულადი შემოსავლებისაგან. ფულადი შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს დაქირავებული შრომიდან, თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ქონების გაქირავებიდან, ანაბრიდან (პროცენტი), პენსიებს, სტიპენდიებს, დახმარებებს, უცხოეთიდან მიღებულ გზავნილებს და საჩუქრად მიღებულ ფულს.

**შინამეურნეობების ხარჯები** მოიცავს შინამეურნეობისა და მისი წევრების ყველა დანახარჯს გამოსაკვლევ პერიოდის განმავლობაში. მთლიანი სამომხმარებლო ხარჯები შედგება სამომხმარებლო ფულადი და არაფულადი ხარჯებისგან. მთლიანი ხარჯები მოიცავს სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, არასამომხმარებლო ფულად ხარჯებს და არაფულად ხარჯებს. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები მოიცავს დანახარჯებს სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, საოჯახო მოხმარების საქონელზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, საცხოვრებელ სახლზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზზე და სხვა სათბობზე, ტრანსპორტზე, განათლებაზე და სხვა სამომხმარებლო ხარჯებს; არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ხარჯებს, დანახარჯებს ტრანსფერტებზე, დაზოგვაზე ან გასესხებაზე და ქონების შექმნაზე.

**შემაკავებელი ორდერი** – პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შე-

უსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი** - გარკვეული ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რიცხოვნობა. გამოისახება პრომილებში (%) და უჩვენებს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას შესაბამისი ასაკის 1 000 ქალზე.

**შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი** - ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებული ბავშვების საშუალო რიცხოვნობა. შვკ უჩვენებს საშუალოდ რამდენ ბავშვს გააჩენდა ქალი მთელი რეპროდუქციული პერიოდის (პირობითად 15-49 წლის ასაკში) განმავლობაში ყოველ ასაკში, შობადობის იმ წლის დონის შენარჩუნების პირობებში, რომლისთვისაც გაიანგარიშება მაჩვენებელი.

**ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი** - 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე.

**ცოცხლად დაბადება** - ჩასახვის პროდუქტის სრულად გამოძევება ან ხელოვნურად გამოყვანა დედის ორგანიზმიდან, როდესაც პროდუქტი სუნთქავს ან ავლენს სიცოცხლის სხვა რომელიმე ნიშანს, როგორცაა გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების ცალკეული ჯგუფების შეკუმშვა სხეულის შესაბამისი ნაწილების მოძრაობით. ყველა ასეთი პროდუქტი მიჩნეულია ცოცხლად დაბადებულად, მიუხედავად იმისა, რა ხანგრძლივობისაა ორსულობა, ჭიპლარი გადაკვეთილია ან/და პლაცენტა მოცილებულია საშვილოსნოს კედელს.

**ძარცვა** - სხვისი ქონების აშკარა გატაცება.

**5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი** - 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე.

# სტატისტიკური კუბლიკაცია

## „ქალი და კაცი საქართველოში“

ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის გაეროს ქალთა ორგანიზაციას (UN WOMEN) და ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომლის მხარდაჭერითაც მომზადდა კუბლიკაცია.

რედაქტორი: **გოგიტა თოდრაძე**

პასუხისმგებელი გამომცემავი: **კაბატა შავიშვილი**  
**ვასილ წაქაძე**  
**ლია ჩარაქიშვილი**

კრებულის მომზადებაში  
მონაწილეობდნენ:

**ირაკლი აფხაიძე**  
**მანანა ტაბატაძე**  
**ვიგა კიკორია**  
**მარიამ ყაველაშვილი**  
**ნესტან ფანცულაია**  
**შორენა ნიკოლაური**  
**ანა კიბაბიძე**  
**თამარ გრიგოლიშვილი**  
**ირმა გვილაძა**  
**გიორგი შიქელაძე**  
**ზაზა ნიკოლოზიშვილი**

დამატებითი ინფორმაციისათვის  
გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:

**საქართველოს სტატისტიკის**  
**ეროვნული სამსახური,**  
**თბილისი, 0180,**  
**ცოტნე დადიანის ქ. 30**  
**ტელ.: 236 72 10, შიდა 605/602**  
**ფაქსი: 236 72 13**  
**ელ. ფოსტა: INFO@GEOSTAT.GE**

ვებ-გვერდი: **WWW.GEOSTAT.GE**

შენიშვნები

